

განმარტებითი ბარათი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა) წინამდებარე კანონპროექტის მომზადება განაპირობა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის დ.ე ქვეპუნქტის, არსებული რედაქციის ეკონომიკურმა მიზანშეუწონლობამ, აგრეთვე იმ სამომავლო პრობლემების გარდაუვალობამ, რომლის წინაშეც დადგება საქართველოს სახელმწიფო ახლო მომავალში, თუკი ეს ქვეპუნქტები არ დაექვემდებარა შესაბამის ცვლილებებს. პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ გამოიკვეთა აღნიშნული ქვეპუნქტების ნაკლოვანებები, აგრეთვე მათი მისადაგების აუცილებლობა თანამედროვეობასთან. ბინადრობის მოწმობის მისაღებად კანონი საკმაოდ დაბალ თანხობრივ ცენზს აწესებს, რაც, დღევანდელ რეალობაში და მიგრაციის არსებული დონის გათვალისწინებით, არის რაციონალურ მინიმალურ ზღვარზე უფრო დაბალი. ეს კი ხელს უწყობს არა იმდენად ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეების (ძირითადად, მატერიალურ სიდუხჭირეში მყოფი პირების) მასიურ მიგრირებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

რა თქმა უნდა, საქართველოს კარი ყოველთვის ღიაა ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანისათვის, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ეკონომიკას და ბინადრობის ნებართვის მქონე მიგრანტებს, აქ უმნიშვნელოვანესია სწორი პოლიტიკის განსაზღვრა. კანონპროექტის მიზანია, მოხდეს ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მიღებისათვის დაწესებული კრიტერიუმების დახვეწა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიიღწევა როგორც ფინანსური ზღვარის აწევით, აგრეთვე ნებართვის გაცემის საფუძვლებს შენარჩუნების კონტროლის მექანიზმის შემოღებით, რაც დღეისათვის არ არსებობს. მიგვაჩნია, რომ ეს ფინანსური ცენზი უძრავი ქონების შემთხვევაში უნდა აიწიოს და იგი უნდა აღემატებოდეს 100 000 აშშ დოლარს, ხოლო ინვესტიციის შემთხვევაში კი იგი უნდა იყოს არანაკლებ 300 000 აშშ დოლარისა. ამის აუცილებლობა მარტივი მაგალითითაც შეიძლება დავასაბუთოთ:

კანონის დღეს არსებული რედაქცია ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემას პირისათვის არანაკლებ 300 000 ლარის ინვესტიციის საფუძველზე (საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა) ან საქართველოს ტერიტორიაზე იმ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის შემთხვევაში, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში (მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა და D5 კატეგორიის ვიზა). ამასთან, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა უვადოდ, ხოლო მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა კი 1 წლის ვადით. ვინაიდან წინამდებარე კანონის ფუნდამენტურ პოსტულატს წარმოადგენს ოჯახის ერთიანობის პრინციპი, ერთი ადამიანისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება ავტომატურად გულისხმობს მისი ოჯახის წევრების ბინადრობის ნებართვით აღჭურვას. ამდენად, ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის, მიღება შეუძლია არამხოლოდ ინვესტორს ან უძრავი ქონების მესაკუთრეს, არამედ ბინადრობის ნებართვის ან D5 კატეგორიის ვიზის მქონე პირის ოჯახის წევრებსაც. შესაბამისად, ვიღებთ სურათს, რომლითაც 35 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების ფლობის შედეგად ბინადრობის ნებართვა ან D5 კატეგორიის ვიზა შესაძლოა მიენიჭოს საშუალოდ 5 უცხო ქვეყნის მოქალაქეს (5 წევრიანი ოჯახის შემთხვევაში), რაც ქმნის ვითარებას, რომლის საფუძველზეც, ბინადრობის ნებართვა ან D5 კატეგორიის ვიზა გაიცემა პირზე, თუ ის ფლობს დაახლოებით 7 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ღირებულების ქონებას. იგივე უნდა ითქვას მუდმივი ბინადრობის

მოწმობის გასაცემად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის დანაწესით განსაზღვრულ თანხაზე (არანაკლებ 300 000 ლარი), რაც დღევანდელ დღეს საკმაოდ არარელევანტურია მუდმივმოქმედი ბინადრობის მოწმობის საპირწონედ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული კანონის შესაბამისი დანაწესი 2014 წელს იქნა მიღებული. მას შემდეგ კი საქართველო კიდევ უფრო ხელსაყრელი გახდა უცხოელი მოქალაქეებისა და ინვესტორებისთვის. ვიზალიბერალიზაცია და საქართველოს ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოება დამატებით მიმზიდველობას სძენს ჩვენს ქვეყანას და საქართველოს ბინადრობის მოწმობის მიღების მსურველთა რიცხვს ზრდის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კანონში ცვლილების შეტანა და აღნიშნული ზღვარის გაზრდა. მით უფრო, რომ საინვესტიციო ბინადრობის, როგორც წამახალისებელი მექანიზმის, იმპულსი ინვესტორთათვის განპირობებულია ეკონომიკის გაძლიერებისა და სამუშაო ადგილების ზრდის მოტივით. დასაქმების ბაზრის ზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც ჩვენი სახელმწიფოს სტრატეგიული მიზანია, 300 000 ლარიანი ზღვარის გაზრდით უფრო რეალური გახდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონპროექტის მიზანია აგრეთვე კონტროლის მექანიზმის შემოღებაც. კანონის არსებული რედაქცია პრაქტიკულად შესაძლებლობას აძლევს ბინადრობის მოწმობით დაინტერესებულ უცხოელებს, იმოქმედონ არაკეთილსინდისიერად და ერთჯერადად მოიპოვონ საფუძვლები ბინადრობის მოწმობის მისაღებად. უფრო მეტიც, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით, ინვესტიციის ერთჯერადად განხორციელებით იმგვარად, რომ კანონი არ ავალდებულებს ინვესტორს ინვესტიციის შენარჩუნებას და არც სხვა რაიმე სავალდებულო დანაწესს ავრცელებს მასზე. ეს კი არ არის ხელსაყრელი საქართველოს საინვესტიციო ბაზრისათვის, რამდენადაც ინვესტიციის განხორციელებისა და ბინადრობის ნებართვის აღების შემდეგ პირმა, შესაძლოა, უკან გაიტანოს ინვესტიცია, რომელიც, შესაძლოა, ასევე წარმატებით იქნას გამოყენებული სხვა უცხოელის მიერ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოსაგან მუდმივი ბინადრობის მინიჭება დაუშვებელია ერთჯერადი ინვესტიციის საფუძველზე, უვადო ბინადრობის ნებართვა უნდა გაიცეს მხოლოდ გარკვეული, განგრძობადი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე. გამომდინარე აქედან, კანონპროექტი მიზნად ისახავს აგრეთვე, რომ მუდმივი ბინადრობის ნებართვების მისაღებად არსებობდეს გარკვეული წინაპირობები. მათ შორის, მისი გაცემა დამოკიდებული გახდეს უკვე გაცემულ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვაზე. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს საქართველოში ისეთი ინვესტორების მოზიდვას, რომლებიც ა) განავითარებენ ფართო მასშტაბის ბიზნეს სექტორს, ბ) რეალურად იქნებიან დაინტერესებულნი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობით და არა ბინადრობის ნებართვის მიღებით. დაუშვებელია, ინვესტიციის განხორციელებისას ინვესტორთათვის უპირატესი ინტერესის სფეროს ბინადრობის ნებართვის მიღება წარმოადგენდეს, ხოლო სამეწარმეო საქმიანობა კი მხოლოდ ფიქციური საშუალება იყოს აღნიშნულის მოსაპოვებლად.

რაც შეეხება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის შენარჩუნებას, კანონის თანახმად, საჭიროა საკუთრების უფლების შენარჩუნება ქონებაზე, თუმცა საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სავალდებულო წესით არ მიეწოდება, თუ სააგენტომ ან ვიზის შეწყვეტაზე უფლებამოსილიმა ორგანომ კონკრეტულ პირზე კონკრეტული კითხვით არ მიმართა უწყებას. შესაბამისად ამ კანონის მე-16-ე მუხლის 3¹ და 21-ე მუხლი 1¹ პუნქტის სრულყოფილი აღსრულება დამოკიდებულია კონკრეტულ პირთან დაკავშირებით სააგენტოს ან ვიზის შეწყვეტაზე უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან ეჭვის გაჩენაზე. ამიტომ კანონპროექტით შემოთავაზებულია ამ ორ უწყებას შორის შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს საინვესტიციო, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვისათვის და D5 კატეგორიის ვიზის გაცემის საფუძვლების ცვლილებას. იმ პირობებში, როცა

საქართველოსა და ევროკავშირის შორის დაიდო ასოცირების ხელშეკრულება, მნიშვნელოვანია ამ მხრივაც მოხდეს ჰარმონიზაცია ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკასთან.

კანონის სიახლეა ის, რომ მუდმივი ბინადრობის ნებართვამდე ინვესტორზე გაიცეს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა 5 წლის ვადით. აღნიშნული ვადა წარმოადგენს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ინვესტორმა უნდა დაამტკიცოს მისი ეკონომიკური საქმიანობის განზრახვის ნამდვილობა, რათა მიიღოს მუდმივი ცხოვრების უფლება. ამასთან, საჭიროა დაწესებული საინვესტიციო თანხის - 300 000 ლარის, 300 000 აშშ დოლარამდე (ეკვივალენტი ლარში) გაზრდა. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, მოხდება საქართველოს საინვესტიციო ბაზრის გადასვლა ახალ, უფრო მასშტაბურ ეტაპზე. მნიშვნელოვანია ასევე, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის შესანარჩუნებლად დაწესდეს თანხობრივი ცენზი, რაც უნდა გამოიხატოს ყოველწლიური ფინანსური ბრუნვის მოცულობაში, კერძოდ, ცვლილებების პროექტი საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის შენარჩუნებას დამოკიდებულს ხდის სამეწარმეო საქმიანობის აქტიურობაზე იმგვარად, რომ ყოველწლიური ბრუნვა შეადგენდეს არანაკლებ 120 000 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში). ეს პირობა უზრუნველყოფს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემას იმ ინვესტორებზე, რომელთა მთავარი მოტივაციაც არის საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა და არა ერთჯერადად განხორციელებული ინვესტიციის საფუძველზე ბინადრობის უფლების მოპოვება.

კანონპროექტის თანახმად, როგორც აღინიშნა, ბინადრობის ნებართვა მუდმივი ცხოვრების უფლებით აღარ გაიცემა თავიდანვე, მხოლოდ ინვესტიციის განხორციელების საფუძველზე. თუმცა ინვესტორს შესაძლებლობა ექნება, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ მიიღოს მუდმივი ცხოვრების უფლება, თუკი 5 წლის განმავლობაში უდასტურდება არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ოდენობით ბრუნვა საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით გაიზრდება აგრეთვე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მისაღებად დაწესებული ქონების საბაზრო ღირებულების მინიმალური ზღვარი - იგი უნდა აღემატებოდეს 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, რაც, ერთი მხრივ, იქნება პრევენციის ღონისძიების მატარებელი, თავიდან იქნება აცილებული არასასურველი მიგრაცია, მეორე მხრივ, კი გაიზრდება უძრავ ქონებაში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ღირებულების უძრავი ქონების გაყიდვებს.

კანონპროექტის სიახლეა ასევე ისიც, რომ განხორციელდება ზემოაღნიშნული ბინადრობის ნებართვების საფუძვლების არსებობის მონიტორინგი, რაც გულისხმობს შემდეგს: ა) ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ბინადრობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში ხოლო **D5** კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში, ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო, ვალდებული იქნება, მიაწოდოს საჯარო რეესტრს ინფორმაცია იმ პირთა ვინაობის თაობაზე, რომლებიც ბინადრობის ნებართვას მიიღებენ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის საფუძველზე. მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც საჯარო რეესტრში დაფიქსირდება ამ უძრავ ქონებაზე ბინადრობის ნებართვის მქონე პირების საკუთრების შეწყვეტის ფაქტი, საჯარო რეესტრი ვალდებული იქნება, აცნობოს ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხოლო D5 კატეგორიის ვიზის შემთხვევაში ვიზის მოქმედების შეწყვეტის უფლებამოსილების მქონე ორგანოს. ამ გზით მარტივად მოხდება კანონით დაწესებული რეგულაციის აღსრულება და დროულად განხორციელდება ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტა. ბ) მოხდება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირის მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის წლიური ბრუნვის კონტროლი იმგვარად, რომ ასეთი პირი ვალდებული იქნება, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ყოველწლიურად წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მის მიერ საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მისი მონაწილეობით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის წლიურ არანაკლებ 120 000 აშშ დოლარიან ბრუნვას. გ) საინვესტიციო ბინადრობა გაცემული იქნება 5 წლის ვადით, აღნიშნული ვადის განმავლობაში მოხდება ინვესტორის საქმიანობის

ფინანსურ ასპექტზე დაკვირვება და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება პირს მუდმივი ცხოვრების უფლების მოპოვების საშუალება. ეს უკანასკნელი ევროკავშირის ქვეყნებში ბინადრობის მოპოვების საუკეთესო პრევენციულ საშუალებად არის მიჩნეული.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მაგრამ საგულისხმოა, რომ მოსალოდნელი ხარჯვითი ნაწილი იქნება მცირე მასშტაბის მქონე, მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მოხდება დამატებითი ვალდებულების კონსტრუირება სახელმწიფო უწყებებისათვის, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის გაცვლაში/შეტყობინებაში უწყებათა შორის, რამაც თავისმხრივ შესაძლოა გამოიწვიოს მცირედი გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან მოხდება სამეწარმეო და უძრავი ქონების სფეროთა განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. როგორც დღეის მდგომარეობით არსებული სტატისტიკა ცხადჰყოფს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ამოქმედებიდან 2017 წლის ჩათვლით გაცემულია 1552 მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, აღნიშნული ნებართვები გაიცა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე 35 000 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის საფუძველზე. როგორც სტატისტიკა ცხადჰყოფს, ბინადრობის ნებართვის გაცემის რაოდენობა მზარდია წლების მიხედვით, 2016 წელს გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვათა საერთო რაოდენობა შეადგენს 328 მაშინ როდესაც 2017 წელს 1173 ბინადრობის ნებართვის გაცემა მოხდა. შესაბამისად, ბინადრობის მსურველთა რიცხვოვნობის მზარდი პირობების გათვალისწინებით და კანონპროექტის მიერ დაწესებული მაღალი ღირებულებითი ცენზი უძრავი ქონების ფასზე, დადებითად აისახავს ჰპოვებს საბიუჯეტო შემოსავალზე, რადგან ბინადრობის მსურველთა მზარდ ტენდენციას ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური წინსვლა, რაც საცხოვრებლად მომხიბვლელს ხდის მას უცხოელებისათვის. აღნიშნული თანხის გაზრდა 100 000 აშშ დოლარამდე საქართველოს უძრავი ქონების სექტორს წაახალისებს და მაღალი ღირებულების უძრავ ქონებას მსყიდველთა რაოდენობას შემატებს.

რაც შეეხება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვას, აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან დღემდე გაცემულია 437 საინვესტიციო ნებართვა.

დაწესებული ახალი ზღვრის საფუძველზე მოხდება ფართო მასშტაბიანი ბიზნეს ინვესტიციების განხორციელება, 300 000 აშშ დოლარის ინვესტირების საფუძველზე მოხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და საქართველოს საინვესტიციო ბაზრის მასშტაბების ზრდა, რაც ცხადია დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მაგრამ საგულისხმოა, რომ მოსალოდნელი ხარჯვითი ნაწილი იქნება მცირე მასშტაბის მქონე, მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მოხდება დამატებითი ვალდებულების კონსტრუირება სახელმწიფო უწყებებისათვის, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის გაცვლაში/შეტყობინებაში უწყებათა შორის, რამაც თავისმხრივ შესაძლოა გამოიწვიოს მცირედი გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტი გამოიწვევს დღემდე არსებულ რეგულაციებთან მიმართებაში განსხვავებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ვინაიდან კანონპროექტი აწესებს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის, სერვისების განვითარების სააგენტოში ყოველწლიური ბრუნვის წარდგენის ვალდებულებას, აღნიშნული შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინფორმაციის წარმდგენი პირებისათვის დამატებით ფინანსურ ხარჯად, მხოლოდ შეტყობინებისათვის გათვალისწინებული ფინანსური საღსრების გაღების ასპექტში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის წევრები გოჩა ენუქიძე და ივლიანე წულაია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები გოჩა ენუქიძე და ივლიანე წულაია